STEM კლუბი

ზოგადი აღწერა

შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ ,,პროგრესში“, ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის ფარგლებში, ფუნქციონირებს STEM კლუბი. იგი განკუთვნილია ერთი ასაკობრივი კატეგორიისათვის: VI-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი არაფორმალური განათლების სამსახურის მენეჯერთან თანამშრომლობით.

კლუბის შეხვედრები, იმართება კვირაში ერთხელ, გარდა არდადეგების პერიოდისა. ჩემპიონატებისა და სხვადასხვა პროექტისათვის მომზადების დროს კი - საჭიროებისამებრ.

კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია.

მიზნები:

კლუბის მიზანია მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის ერთობლიობით.

კლუბის წევრები ივითარებენ შემდეგ უნარებს:

- ✓ ანალიტიკური აზროვნება
- ✓ კრიტიკული აზროვნება
- ✓ გუნდური მუშაობა
- ✓ დროის მართვა

კლუბის წევრი მოსწავლეები სწავლობენ შემდეგ საკითხებს:

მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა სახის ვირტუალურ მოდელს პროცესის

- ✓ სადემონსტრაციოდ,ასახსნელად, დასასაბუთებლად, ვარაუდის მხარდასაჭერად.
- ✓ შემდგომ ეტაპზე ვირტუალურ მოდელს ანაცვლებენ რეალურით.
- ✓ პროექტის ამოსავალი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი;
- ✓ საჭირო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- ✓ პროექტის დაგეგმვა და შესაბამის ფორმატში გაწერა. პროექტის შეფასების სქემის შექმნა;
- ✓ პროექტის აქტივობების განხორციელება;
- ✓ პროექტის საბოლოო პროდუქტის წარდგენა;

- ✓ პროექტის შეფასება.